

არასუციდური თვითდამაზიანებელი ქცევის გამომწვევი მიზეზები
და მოტივები ზრდასრულებში

თინათინ გვაძაბია

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო
უნივერსიტეტის ხელოვნებისა და მეცნიერების ფაკულტეტზე კლინიკური
ფსიქოლოგის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების
შესაბამისად*

კლინიკური ფსიქოლოგია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნატა მეფარიშვილი, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2021

*როგორც წარმოდგენილი ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი
წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ
აქამდე გამოყენებულ, გამოსაყენებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ
მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული
სათანადო წესების შესაბამისად.*

თინათინ გვამაზია

21.01.2021

აბსტრაქტი

საკვლევი საკითხია არასუიციდური თვითდამაზიანებელი ქცევის განმაპირობებელი მიზეზები და მოტივები ზრდასრულებში.

კვლევა მიზნად ისახავს მოზრდილების სუბიექტური გამოცდილებების შესწავლას, მათი მოსაზრებით, რა არის ქცევის გამომწვევი მიზეზი და მოტივი. თვითდამაზიანების ნებისმიერი ფორმა, ზოგ შემთხვევაში, მჭიდრო კავშირშია სუიციდურ ქცევასთან ან უნებლიე ფატალურ შედეგთან. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით კვლევის ჩატარება მნიშვნელოვანია ქცევის უკეთესად გაგებისათვის, იმისათვის, რომ სწორად მოხდეს მისი ინტერპრეტაცია, პრევენციული აქტივობების დაგეგმვა და ჩარევა როგორც სპეციალისტების, ისე ოჯახის წევრების მხრიდან.

კვლევის მონაწილეებთან, რომელთა ასაკი ადრეული ზრდასრულობის პერიოდს მოიცავს, 20-35 წელი, და რომელთაც ერთხელ მაინც მიუმართავთ 20 წლის ან ზემოთ ასაკში არასუიციდური თვითდამაზიანებელი ქცევისათვის, ჩატარდა ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუები. კვლევის ფორმატი ეფუძვნება თვისებრივ კვლევას, კერძოდ თემატურ ანალიზს. შედეგად გამოიკვეთა ქცევის ძირეული მიზეზები და მოტივი. კვლევის მონაწილეების გამოცდილების საფუძველზე არასუიციდური ქცევის გამომწვევი ძირითადი მიზეზებია უსიამოვნო ინტენსიურ ემოციებთან გამკლავების სირთულე, მოგონებები უსიამოვნო გამოცდილებებზე, დანაშაულის განცდა, სირთულე ინტერპერსონალურ ურთიერთობებში, ნეგატიური თვითაღქმა, საუნივერსიტეტო ცხოვრებასთან ადაპტაციის სირთულეები და ვერბალური კომუნიკაციის არაეფექტურობა. ასევე, გამოიკვეთა რიგი ქცევის მოტივისა, როგორცაა რეალობაში დაბრუნება, უსიამოვნო ემოციების მართვა, ყურადღების გადატანა,

სიამოვნებისა და სიმშვიდის განცდა, თვითდასჯა, სუიციდისგან თავდაცვა, გარშემომყოფების უსიამოვნებისგან დაცვა, ოჯახის წევრებთან კომუნიკაცია და სასურველი მიზნის მიღწევა.

ძირითადი საძიებო სიტყვები: არასუიციდური თვითდამაზიანებელი ქცევა, ადრეული ზრდასრულობა, მიზეზები, მოტივი

Abstract

The following paper explores the causes and motives of non-suicidal self-injury behaviour among Adults.

Through analysing the personal experiences of the interviewees, the research aims to examine their opinions on the reasons and motives that lead to such practice. In some cases, different forms of self-harm are closely linked to suicidal behaviour or unintended fatal outcome. A careful study of the issue is crucial for a better understanding and interpretation of this kind of action; for planning prevention activities and intervention by specialists, as well as family members.

Semi-structured interviews were conducted with research participants whose age range falls into the early adulthood period, specifically those aged 20-35, who had committed self-harming non-suicidal acts at least once at the age of 20 and over. Qualitative data was analysed through the method of thematic analysis. Based on the response of the interviewees, non-suicidal self-harming behaviour is mainly caused by difficulties coping with intense unpleasant emotions, a memory of distressing events, guilt, problems with interpersonal relationships, negative self-perception, difficulties in adapting to university life, and ineffectiveness of verbal communication. Several other motives were also identified, such as getting back to reality, managing unpleasant feelings, shifting attention, sense of pleasure and tranquillity, self-punishment, avoiding suicide, protecting others from distress, communicating with family members, and achieving the desired goal.

Key words: Non-suicidal self-injury, Early adulthood, Reasons, Motives